შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ

ფრანგულ-ქართულ უნივერსიტეტს (FGU) შორის

და

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის (SRNSFG)

საქართველოსა და საფრანგეთს შორის 2018 წელს თბილისში ხელმოწერილი მთავრობათაშორისი შეთანხმების ფარგლებში, ფრანგულ-ქართულმა უნივერსიტეტმა და სსიპ- საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა (SRNSFG), შემდეგში „ფონდი", დაამყარეს შემდეგი შეთანხმება სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ:

მუხლი 1. სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეკრულების მიზანი

ამ შეთანხმების მთავარი მიზანია საფრანგეთსა და საქართველოს შორის სამეცნიერო კვლევებში თანამშრომლობის მხარდაჭერა დოქტორანტურის საფეხურზე ქართველი სტუდენტების მობილობის ხელშეწყობის გზით. მხარეები, თანასწორობისა და ორმხრივი სარგებლის საფუძველზე, მხარს დაუჭერენ მიწვეულ მკვლევართა საფრანგეთში სტაჟირებას ყველა სამეცნიერო მიმართულებით.

მუხლი 2. მიწვეულ მკლევართა სამეცნიერო სტაჟირების პროგრამა

2.1 მხარეები შეარჩევენ და მხარს დაუჭერენ დოქტორანტურის საფეხურზე სამი მკვლევარის სამეცნიერო ვიზიტს საფრანგეთის კვლევით დაწესებულებაში ან უნივერსიტეტში. კვლევითი ვიზიტების ხანგრძლივობა იქნება 2 თვე. კანდიდატების შერჩევა მოხდება ღია კონკურსის საფუძველზე, რომელსაც ადმინისტრირებას გაუწევს ფონდი ფრანგულ-ქართულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

2.2 ფრანგულ-ქართული სამეცნიერო სტაჟირების პროგრამა (FGVSP) გამოცხადდება ყოველწლიურად, მარტი-მაისის პერიოდში. ამ პროგრამისთვის ერთწლიანი ციკლი

გულისხმობს: პროგრამის გამოცხადებას, აპლიკანტთა რეგისტრაციას, წარმატებული პროექტების შერჩევას, სტიპენდიების მინიჭებას, სტიპენდიანტთა ვიზიტს საფრანგეთში, საანგარიშო პროცედურებს.

2.3 კონკურსში ხელმისაწვდომია ყველა სამეცნიერო სფერო.

2.4 მიწვეულ მკლევარებს შეარჩევს ფონდისა და ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ექსპერტთა შემფასებელი პანელი. შემფასებელ პანელში ქართველ მკლევარებთან ერთად შევლენ ფრანგი მკვლევარები და ექსპერტები საფრანგეთის უნივერსიტეტებიდან და კვლევითი ცენტრებიდან.

2.5 ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თითოეული მხარე განსაზღვრავს მათ მიერ წარმოდგენილ ექსპერტთა რაოდენობას საჭიროებაზე დაყრდნობით.

2.6 აუცილებლობის შემთხვევაში შესარჩევი პანელის შეხვედრის ორგანიზება და ჩატარება შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში.

2.7 მასპინძელი კვლევითი დაწესებულება/უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის მხარდაჭერას და წვდომას მასპინძელ დაწესებულებაში არსებულ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებსა და კოლექციებზე. გარდა ამისა, მიწვეულ მეცნიერს ექნება სრული წვდომა მასპინძელი დაწესებულების სემინარებსა და სხვა აკადემიურ ღონისძიებებზე. მასპინძელი დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი მენტორის აყვანას, რომელიც იქნება შესაბამისი სფეროს მკვლევარი.

2.8 განაცხადსა და სხვა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მიმღები დაწესებულებიდან მენტორის (აკადემიური პირი, მასპინძელი დაწესებულების მკვლევარი) მიერ ხელმოწერილი მხარდამჭერი წერილი.

მუხლი 3. ფინანსური მხარდაჭერა

3.1 სტაჟირების მთლიანი დაფინანსება შეადგება 6,300 ევრომდე; თითოეული მხარეს (SRNSFG და FGU) თანაბარი წვლილი შეაქვს - 3,150 ევროს ოდენობით.

მუხლი 4: საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ფრანკო-ქართული უნივერსიტეტის ვალდებულება

4.1 ერთი მიწვეული მკლევარის სტაჟირება შეადგენს 2,100 ევროს, რომელიც ფარავს საცხოვრებლის, ავიაბილეთის (ორი მიმართულების) და სხვა კვლევასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ორივე მხარე (SRNSFG და FGU) თანაბრად (50%/50%) დააფინანსებს გამარჯვებული მკლევარის სტაჟირებას.

მუხლი 5. მოქმედება, ცვლილებები, ხანგრძლივობა და შეწყვეტა

5.1 ეს შეთანხმება სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

5.2 წინამდებარე ხელშეკრულების ამოწურვის მიუხედავად, მიწვეული მკლევარის ვალდებულება შესრულდება სტიპენდიის დასრულებამდე.

5.2 თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს შეთანხმება ოფიციალური წერილობითი შეტყობინების საშუალებით. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება წყდება შეტყობინების მიღებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

5.3 სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ წინამდებარე შეთანხმების დებულებები შეიძლება შეიცვალოს წერილობითი ფორმით, მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმებით.

5.4 წინამდებარე შეთანხმება სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ განხორციელდება საფრანგეთის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შესრულებულია ქ.თბილისში, საქართველო, 2024 წლის 12 დეკემბერს, ორ ორიგინალში ინგლისურ და ქართულ ენებზე.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

გენერალური დირექტორი

თეიმურაზ დოჭვირი

ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტი

კოორდინატორი

ევა ბერტნარი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

UNIVERSITE FRANCO GEORGIENNE

Agreement on Scientific Cooperation Between the Franco-Georgian University (FGU) and LEPL - Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

In the framework of the intergovernmental agreement between Georgia and France signed in Tbilisi in 2018, Franco-Georgian University (UFG) and Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) have established the following agreement on scientific cooperation:

Article 1. Purpose of the Scientific Cooperation Agreement

The main purpose of this agreement is to support cooperation in scientific research between France and Georgia through supporting mobility of Georgian students at the doctoral level. The Parties will, on a basis of equality and mutual benefit, support the fellowship of respective Georgian Visitng Scholars Fellowship in all scientific areas in France.

Article 2. Franco-Georgian Visiting Scholars Fellowship Programme

2.1 The Parties will select and support three doctoral Georgian fellows' research visits to French research institutions or universities. The duration of research visits will be 2 months. The selection of candidates will be based on open competition that will be administered by SRNSFG, in cooperation with FGU.

2.2 The call for proposals for the **Franco-Georgian Visiting Scholars Fellowship Programme (FGVSFP)** is to be announced yeach year, in the period of March - May. For this programme, one year cycle implies: programme call announcement, registration of the applicants, selection of the successful projects, awarding fellowships, visit of fellowship holders in France, reporting procedures.

2.3 All scientific fields are eligible.

2.4 Visiting scholar will be selected by the selection panel of experts organized by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) and the Franco-Georgian University. French researchers and experts from French universities and research centers shall be included in the selection panel.

2.5 On the bases of mutual agreement, each side defines the number of experts depending on the nessecities.

2.6 In case of need, the selection panel meeting can be organized and held online.

2.7 Host research institution/university will provide program support and access to facilities at the host institution - access to the university libraries and collections as appropriate. In addition, the visiting scholar will have full access to the seminars and other academic events of the host institution. The host institution will provide appropriate mentor, academic personnel or researcher of relevant field for the visiting scholar.

2.6 Along with the application and other required documentation, an applicant should provide an supporting letter signed from the host institution's mentor - an academic person, researcher from the host institution.

Article 3. Financial Support

3.1 The total funding envelope is up to 6,300 EUR; each party (SRNSFG and FGU) contributes equal amount - 3,150 EUR.

Article 4: Commitment of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia and of the Franco-Georgian University

4.1 The fellowship for one visiting scholar is 2,100 EUR covering accommodation, air tickets (two directions) and other research related expenses. Both parties (SRNSFG and FGU) will equally (50%/50%) finanace the the fellowship of the winner.

Article 5. Effectiveness, Amendments, Duration and Termination

5.1 This Agreement on Scientific Cooperation takes effect on the date of signature and remains valid until December 31, 2026.
5.2 Regardless of the termination of this agreement, the obligation of this visiting scholars will be fulfilled until the end of the scholarship.
5.2 Each Party may terminate the Agreement with an official written notice. In this case, the Agreement shall terminate within 6 (six) months after the date of receipt of the notification.
5.3 The provisions of this Agreement on Scientific Cooperation may be amended in writing by mutual consent between the Parties.
5.4 This Agreement on Scientific Cooperation will be implemented in accordance with the French and Georgian legislations.

Done in Tbilisi, Georgia, on 12th of December of 2024, in two originals in English and Georgian.

Shota Rustaveli National Science foundation of Georgia
Director General, Teimuraz Dochviri

Franco-Georgian University
Coordiantor, Eva Bertrand